

## XII თავი

### სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია ბსუ-ს წესდების (დანართი 1) 66-ე მუხლით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (დანართი 2) „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების წესითა“ (დანართი 20) და „ბსუ-ს ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით (დანართი 7).

**ბსუ-ს წესდების თანახმად ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:**

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;
- დ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება;
- ე) უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ვ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა;
- ზ) გარდაცვალება.

**ბსუ-ს ეთიკის კოდექსის შესაბამისად, უნივერსიტეტის სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი შეეფარდება სტუდენტს/მსმენელს შემდეგი ეთიკური გადაცდომის შემთხვევებში:**

- ა) დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ან/და ნებართვის გარეშე გამოიყენებს (ხელყოფს) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (გაფრთხილების მიუხედავად განაგრძობს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ან სხვა ფართის სარგებლობას ან/და იმ კომპიუტერულიან სხვა ტექნიკის გამოყენებას, რომელიც არ არის განკუთვნილი სტუდენტთა მოხმარებისათვის);
- ბ) გამოცდაზე შევა სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა პირს;
- გ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებულ მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას;
- დ) გამოიყენებს ან/და სხვას მიაწვდის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომხმარებლის პირად ინფორმაციას (პაროლი და კოდი) ან/და საგნის ლექტორის ნაცვლად აწარმოებს თავის თვის ან სხვა სტუდენტისათვის შეფასებას (აღრიცხავს).

საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შედეგად, იმ სტუდენტთა მიმართ, რომელთაც აქვთ დავალიანებული საგნები (აუთვისებელი კრედიტები) შესაბამისი ფაქულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75-ს, უწყდებათ სტუდენტის სტატუსი, ხოლო სხვა დანარჩენთა მიმართ, თუკი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს დამატებითი სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლების

მინიჭების თხოვნით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გაუხანგრძლივდებათ სწავლების ვადა ერთი სასწავლო წლით.

**დამატებითი სასწავლო წლის სტუდენტი ვერ სარგებლობს** ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლებით.

**პროგრამის გაუქმების შემთხვევაში** უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ალტერნატიულ პროგრამას, ამ სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით (გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.